UDC 574.91
SCOPUS CODE 1403
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-2-69-73

მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები საქართველოში

ანა ბარათაშვილი საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: Baratashvilian@gmail.com

რეცენზენტები:
შ. დოღონაძე, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
E-mail: sh.dogonadze@gtu.ge
გ. ჯოლია, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
E-mail: g.jolia@gtu.g

ანოტაცია. საქართველოსთვის, როგორც მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის, მიგრაცია **აქტუალური** საკითხია. მიგრაციის გამომწვევი ფაქტორები სხვადასხვაა და ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და სხვა სახის ცვლილებებთანაა დაკავშირებული, ასევე პიროვნების საკუთარ გადაწყვეტილებებთან. ჩვენი ქვეყნის ბოლო პერიოდის ისტორიაში იყო პერიოდი, როდესაც ემიგრაცია, ძირითადად, არსებულმა არასტაბილურობამ და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულმა გარემოებებმა გამოიწვია. უფრო მოგვიანებით მიგრაციული ნაკადების ზრდაში განსაკუთრებული როლი სოციალურ-ეკონომიკურმა ფაქტორებმა შეასრულა.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი **კვლევის შედეგებიდან გამომდინარე,** ემიგრანტთა ფულადი გზავნილები სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებას უწყობს ხელს. ფულად გზავნილებს აქვს პოტენციალი, რომ მოახდინოს ეკონომიკის სტიმულირება, ეროვნული ვალუტის სტაბილურობა, გააუმჯობესოს, ზოგადად, ცხოვრების დონე. სახელმწიფო გარკვეულწილად, ადეკვატურად შემუშავებული პოლიტიკის განხორციელებით, ფულადი გზავნილების რესურსის უკეთესი ეკონომიკური განვითარებისკენ მიმართვას უზრუნველყოფს.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა; მიგრაცია; საქართველო; ფულადი გზავნილები.

შესავალი

საქართველოსთვის მიგრაცია ბოლო ათწლეულებში აქტუალური საკითხი გახდა. სახელმწიფოში მთლიანი შიგა პროდუქტი საგრძნობლად გაიზარდა, თუმცა მოსახლეობის კეთილდღეობის დონე არ გაუმჯობესდა, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა მიგრაციის უარყოფითი მაჩვენებლის ზრდის ტემპების შესაჩერებლად. წლების განმავლობაში სახელმწიფოში დემოგრაფიული სიტუაცია სხვადასხვა მიზეზით შეიცვალა, რამაც მოსახლეობა შეამცირა. ემიგრანტების რიცხოვნობის მიხედვით, გასულ წელს საზღვარგარეთ მყოფ ქართველ ემიგრანტთა რიცხვმა დაახლოებთ ცხრაასი ათასი ადამიანი შეადგინა, რაც მოსახლეობის დაახლოებით 25%-ია.

ძირითადი ნაწილი

საქართველოდან ემიგრაციის შესახებ, კერძოდ კვალიფიკაციისა და უნარების მახასიათებლებზე არსებული და ორიენტირებული გამოკვლევები აჩვენებს, რომ, სხვა სახელმწიფოების მსგავსად, საქართველოდან მიგრანტების უმრავლესობას, როგორც წესი, საშუალოზე მაღალი განათლების დონე აქვს. მიგრანტების შედარებით ნაკლები რაოდენობა მიემგზავრება საგანმანათლებლო-კვლევითი მიზნებისთვის, მათი გამგზავრება ქვეყნიდან კი – სახელმწიფოსთვის ინტელექტუალური კაპიტალის დაკარგვაა. ევროკავშირის ზოგიერთი სახელმწიფოს, მაგალითად საბერძნეთის, შემთხვევაში შესაძლებელია ვისაუბროთ საქართველოდან ემიგრაციის ფემინურ ასპექტებზე, რაც შეეხება ემიგრაციულ ნაკადებს, უახლესი კვლევების მიხედვით, საქართველოდან რუსეთში ნაკადები შესამჩნევად შემცირდა, განსაკუთრებით საქართველო-რუსეთის აგვისტოს ომის შემდეგ, როცა მოხდა ნაკადების ევროკავშირის, ამერიკისა და სხვა სახელმწიფოებისაკენ გადამისამართება, რომლებიც მიგრანტებს უფრო მეტ ანაზღაურებას, უსაფრთხოებასა და ცხოვრების გაუმჯობესებულ პირობებს სთავაზობდნენ.

ემიგრანტების ფულადი გზავნილები, მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია. გზავნილები კვლავინდებურად დიდ როლს ასრულებს მიგრანტების ოჯახების ცხოვრებაში. მიუხედავად მათი შედარებით მაღალი რაოდენობისა, ფულად გზავნილებს მაინც მცირე გავლენა აქვს სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაზე. მიუხედავად ამისა, ისინი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია მიგრანტების ოჯახებისთვის, სიღარიბის შემცირებისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესების კუთხით. ფულადი გზავნილების დიდი რაოდენობა რუსეთიდან და იტალიიდან შემოდის. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე მაღალი ფულადი გზავნილი რუსეთიდანაა, მისი რაოდენობა შედარებით მცირდება. ამასთან, 2013 წლიდან მოყოლებული, გაიზარდა ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული ფულადი გზავნილების წილი.

ფულადი გზავნილები საქართველოს მშპ-ის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, რომელმაც 2020 წ. დაახლოებით 20%-ს მიაღწია. მაგრამ, სოციალური გზავნილების შემთხვევაში, არსებული კვლევები აჩვენებს, რომ დაბრუნებული მიგრანტების შემთხვევაში კვალიფიკაციის გაზიარება უმნიშვნელოდ ხდება. სხვადასხვა ქვეყნიდან ჩვენს ქვეყანაში გზავნილების რაოდენობა ყოველწლიურად მილიარდ დოლარსაც აჭარბებს. 2018 წელთან შედარებით,

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

2019 წელს გზავნილების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც დიდწილად რუსეთიდან ფულადი გზავნილების შემცირებით იყო გამოწვეული და ეკონომიკურ კრიზისს უკავშირდებოდა, მაგრამ ფულადი გზავნილების საერთო მოცულობა მომდევნო წლებში ისევ გაიზარდა.

მიგრაციის ზრდა ამ საკითხზე აზრს ორ ნაწილად ჰყოფს. კერძოდ, რა არის მიგრაცია, საშიშროება თუ უკეთესი მომავლის გარანტი, რაზეც პასუხის გაცემა მიგრაციული პროცესების ანალიზის გარეშე რთულია. საჭიროა, გავაანალიზოთ მთავარი მიზეზი, რაც ქვეყნებს შორის გლობალურს კუთხით მიგრაციას ზრდის.

საკითხის თვალსაჩინოდ დასანახად საჭიროა გავიაზროთ ევროპის მიგრაციის კრიზისისა და მიმდინარე პროცესების საკითხები. მიგრაცია სტატისტიკური მონაცემების გარეშე რთული გასააზრებელია.

მიგრაცია იძულების ჭრილში აქტუალური იყო წლების წინ და ახლაც რთული დისკუსიის საკითხად რჩება. პიროვნებებს უწევთ დატოვონ საცხოვრებელი ადგილები და თავშესაფარი ისეთ სახელმწიფოში ეძებონ, რომელიც უფრო წყნარ და მშვიდ საცხოვრებელ გარემოდ მიაჩნიათ. ეს ყველაფერი მათი ნების საწინააღმდეგოდ ხდება, სხვადასხვა ფაქტორის გამო (მაგალითად, კლიმატური ან ეკონომიკური).

ის საკვანძო ფაქტორები და მათი ერთობლიობა, რომელთა მიზეზითაც ადამიანები ტოვებენ ქვეყანას, ხშირად დაუძლეველია და მათი საჭიროების დაკმაყოფილებისა და უფლებების დასაცავად საშუალებების პოვნა აუცილებელია. შეიძლება ითქვას, რომ მიგრანტები სრულყოფილად დაცულები არ არიან.

დღევანდელი გლობალური ცოდნის ეკონომიკაში კონკურენცია მუშაკებისთვის გაძლიერდა. მაღალკვალიფიციური მუშაკი დიდი აქტივია კომპანიებისთვის, შესაბამისად ქალაქებისა და რეგიონებისთვის, რადგან ისინი ხელს უწყობენ ცოდნის შექმნას, ინოვაციებსა და ეკონომიკურ ზრდა-განვითარებას.

გამოცდილი მიგრანტები საერთაშორისო საზღვრებს ბევრჯერ კვეთენ პროფესიული შესაძლებლობის წარმოსაჩენად. ეს სივრცითი გადაადგილება შესაძლებლობები და გამოწვევებია მიგრანტებისთვის. როგორ ჩამოყალიბდა, შენარჩუნდა და გარდაიქმნა საერთაშორისო მიგრაციული ნაკადები მრავალ სივრცესა და მასშტაბში? როგორ იმოქმედა ამ პროცესებმა ქალაქებსა და რეგიონებზე? როგორ გამოეხმაურა დაინტერესებული მხარე ამ პროცესებს? საერთაშორისო მიგრაცია ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია თანამედროვე გლობალური დღის წესრიგში. ბოლო დროს აღნიშნული საკითხები ყურადღების ცენტრში მოექცა, სხვა თემებთან ერთად, კლიმატის ცვლილების კონტექსტშიც.

აშკარაა, რომ აღნიშნული საკითხების ურთიერთკავშირს დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ცვლილებების გასააზრებლად და ეფექტური ინტერვენციების შესამუშავებლად. როდესაც გლობალიზაცია ძლიერდება, მიგრაციული პროცესებიც აქტიურდება. მიგრაცია პოლიტიკურად მგრძნობიარე თემა და მნიშვნელოვანი ასპექტია დებატებში სოციალური და კულტურული მრავალფეროვნების, ეკონომიკური სტაბილურობის, ტერორიზმის, გლობალიზაციისა და ნაციონალიზმის შესახებ.

კვლევები ცხადყოფს, რომ ყოველი მეორე ემიგრანტის მიერ განხორციელებული გზავნილი შესაბამისი ოჯახის ბიუჯეტის ფაქტობრივად ნახევარს შეადგენდა, ემიგრანტების გარკვეული ნაწილის მიერ გამოგზავნილი თანხა კი – ოჯახის შემოსავლის ერთადერთი წყარო.

მაკროეკონომიკური კუთხით, გზავნილები უცხოური ვალუტის შემოდინების საკვანძო წყაროა. უცხოური ვალუტის რეზერვები სახელმწიფოებს შესაძლებლობას აძლევს შეიძინოს უცხოური საქონელი ან გადაიხადოს ვალი, რაც ქვეყნისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

დასკვნა

ამრიგად, ჩატარებული კვლევების შედეგები აჩვენებს, რომ ემიგრანტების გზავნილების გამოყენებისთვის აქცენტი რამდენიმე მიმართულებითაა გასაკეთებელი. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ემიგრანტების ფინანსური კუთხით განათლების გაუმჯობესება, შეძლონ ბიუჯეტის დაგეგმვა, ასევე ინფორმაციას ფლობდნენ საბანკო პროდუქტებსა და ბიზნესის მართვის საკვანძო პრინციპებზე. გარდა ამისა, ემიგრანტები უნდა აკონტროლებდნენ გამოგზავნილ ფულად გზავნილებს და შეძლონ მათი განკარგვა საჭიროების მიხედვით. მნიშვნელოვანია, ქვეყანაში დანაზოგის შექმნის სისტემის გაუმჯობესება, რათა წახალისდეს მათი გზავნილების სწორი გამოყენება. საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების შესახებ კვლევები ცხადყოფს, რომ დაბრუნების შემდეგ ისინი, უპირველეს ყოვლისა, რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით რისკის ქვეშ არიან.

ლიტერატურა

1. State Commission on Migration Issues. (2020). *Migration Strategy of Georgia for 2021-2030.*;
2. Kazmiekevish, P. (2013). *The possibility of developing circular migration schemes between Georgia and European Union.*;
3. Hynes, P. (2021). *Introducing Forced Migration.* London: Taylor & Francis Group.;
4. Morris, J. (2020). *Practical Data Migration.* UK, Swindon: BCS Learning & Development Limited.;
5. Markus, M. L. (2022). Handbook on Migration and Welfare. US: Edward Elgar Publishing.

UDC 574.91
SCOPUS CODE 1403
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-2-69-73

Socio-economic Aspects of Migration in Georgia

Ana Baratashvili Department of Public Administration and Electronic Business, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: Baratashvilian@gmail.com

Reviewers:

Sh. Dogonadze, Doctor of Historical Sciences, Professor, Faculty of Business Technologies, GTU
E-mail: sh.dogonadze@gtu.ge

G. Jolia, Academic Doctor of Economics, Professor, Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social sciences, GTU
E-mail: g.jolia@gtu.ge

Abstract. Migration is a topical issue in Georgia, as it is in many other countries. There are various causes that contribute to migration, including changes in the economy and personal choices. It should be mentioned that according to the research, in the context of Georgia's recent history, financial transfers from immigrants may be able to support the nation's economic growth. Remittances have the potential to stimulate individual sectors of the economy, contribute to the stability of national currencies, improve household living standards. To some extent, the state can direct the remittance resource towards social economic development by implementing appropriate policies.

Keywords: economy; Georgia; migration; money transfers.

განხილვის თარიღი 21.02.2024
შემოსვლის თარიღი 22.02.2024
ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.06.2024